ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1954893

ნომერი: AR1310871

თარიღი : 18.05.2015

გაცემის თარიღი : 15.06.2015

გაცნობის თარიღი : 15.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი I , სუხიშვილის ქუჩაზე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერი გელაშვილი პ/ნ 13001008490
- საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ლილოს დას., IV კვ., კორპ. 2, ბინა 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 12.08.2003წ. №გ–137 სამშენებლო პასპორტის, ქ. თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის 24.11.2004წ. №20/555 ბრძანების, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნაწილში ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.12.2010წ. №01/2965 ბრძანებისა და

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.02.2015წ. №1753011 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 18/05/2015წ. AR1310871 განაცხადითმომართა ვლადიმერ გელაშვილმა და მოითხოვაქ. თბილისის მერიის ქ. თბილისისარქიტექტურის საქალაქო სამსახურის 12.08.2003წ. №გ–137 სამშენებლო პასპორტის, ქ. თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისადა სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის 24.11.2004წ. №20/555 ბრძანების, ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 23.04.2008წ. №ნ/484 ბრძანების, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.12.2010წ. №01/2965 ბრძანებისადა ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.02.2015წ. №1753011 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 96-ე მუხლისმოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონეგარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3–ისსაცხოვრებელ რაიონში, სუხიშვილისქუჩაზე არსებული მიწისნაკვეთისათვის, საყოფაცხოვრებო ობიექტისა და აფთიაქისმშენებლობის მიზნით, ქ. თბილისის მერიის ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ, გაცემული იქნა 12.08.2003წ. №გ–137 სამშენებლო პასპორტი.
ქ. თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისადა სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის 24.11.2004წ. №20/555 ბრძანებით, ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ვარკეთილი3–ის I მ/რ–ში, სუხიშვილის ქუჩაზე, ირაკლიგოცაძის კუთვნილ მიწისნაკვეთზე, შეთანხმდა საყოფაცხოვრებო ობიექტის დააფთიაქის არქიტექტურული პროექტი და გაცემულიიქნა 30.11.2006წ. №ნ/827 მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადაგანისაზღვრა 2007 წლის 15 ნოემბრამდე. შესაბამისად, 30.11.2006წ. №ნ/827 მშენებლობის ნებართვა, დღეისათვის, მოქმედების ვადისგასვლის გამო, წარმოადგენსძალადაკარგულ აქტს.
ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 23.04.2008წ. №ნ/484 ბრძანებით, გაიცა ისანი–სამგორის რაიონში, ვარკეთილი3–ის I მ/რ–ში, სუხიშვილის ქუჩაზე, ირაკლიგოცაძის კუთვნილ მიწისნაკვეთზე საყოფაცხოვრებო ობიექტის და აფთიაქისმშენებლობის ნებართვა (მშენებლობის სანებართვო მოწმობა №ნ/484–1), რომლისმოქმედების ვადა, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.04.2009წ. №779 ბრძანებით, განისაზღვრა 2011 წლის 25 აპრილამდე. შესაბამისად, 23.04.2008წ. №ნ/484 ბრძანება, დღეისათვის, მოქმედების ვადის გასვლისგამო, წარმოადგენს ძალადაკარგულ აქტს.
ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.12.2010წ. №01/2965 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, ვარკეთილისდასახლება–3, I მ/რ, სუხიშვილის ქუჩაზე, ზვიადერისთავის კუთვნილ მიწისნაკვეთზე, შეთანხმდა საყოფაცხოვრებო ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცამშენებლობის ნებართვა (მშენებლობის სანებართვო მოწმობა №ნ/3213–1), რომლისმოქმედების ვადა, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.07.2012წ. №247725 ბრძანებით, განისაზღვრა 2014 წლის 11 იანვრისჩათვლით. შესაბამისად, 28.12.2010წ. №01/2965 ბრძანება, დღეისათვის, მშენებლობის ნებართვის ვადისგასვლის გამო, მშენებლობისნებართვის გაცემის ნაწილში, წარმოადგენს ძალადაკარგულ აქტს.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.02.2015წ. №1753011 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, დასახლებავარკეთილი-3, მიკრო/რაიონიI, სუხიშვილის ქუჩაზე, კერძოსაკუთრებაში არსებულ მიწისნაკვეთზე (საკადასტრო კოდი№01.19.39.029.031), საყოფაცხოვრებო ობიექტის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადისგასვლის გამო, გაიცაახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადაგანისაზღვრა 2016 წლის 27 აგვისტოსჩათვლით.
დღეისათვის, საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის №882015234452, მომზადების თარიღი: 05/05/2015 16:58:37) თანახმად, სამშენებლო მიწისნაკვეთის (საკადასტრო კოდი№01.19.39.029.031) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ვი.ვი.ენკომპანი".
ამონაწერითმეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14085019, 27/08/2014 12:21:11), შპს„ვი.ვი.ენ კომპანის" ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსწარმოადგენს დირექტორი - ვლადიმერ გელაშვილი.
წარმოდგენილიგანაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისში, დასახლება ვარკეთილი–3, მიკრო/რაიონი I, სუხიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწისნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.19.39.029.031) დაკავშირებით გაცემული არქიტექტურული პროექტებისა და მშენებლობისნებართვების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, სამშენებლო მიწის ნაკვეთისმესაკუთრეს არ აქვს ობიექტის, აღნიშნული პირობების საფუძველზე, სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
სამსახურში, ასევე, წარმოდგენილია სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, რომლიდანაც ირკვევა, რომ სამშენებლო ობიექტზე მშენებლობა ნაწარმოები არარის.
საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის1–ლი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტისძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემადმინისტრაციულ ორგანოს.
“ლიცენზიებისა და ნებართვებისშესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლისმე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებგადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 61-ე მუხლშიგანსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვისმფლობელის მოთხოვნა.
ყოველივეაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, სამშენებლო მიწისნაკვეთის მესაკუთრეს არგააჩნია ქ. თბილისისმერიის ქ. თბილისისარქიტექტურის საქალაქო სამსახურის 12.08.2003წ. №გ–137, ქ. თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისადა სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის 24.11.2004წ. №20/555, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.12.2010წ. №01/2965 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.02.2015წ. №1753011 აღმჭურველიინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ გავითარების ინტერესი და აღნიშნულიაქტების საფუძველზე, მშენებლობა ნაწარმოები არარის, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოსგანმცხადებლის მოთხოვნა ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულადგამოცხადების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდანგამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისადა “ლიცენზიებისა დანებართვების შესახებ” საქართველოსკანონის 34-ე მუხლისმე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ვბრძანებ:
1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 12.08.2003წ. №გ–137 სამშენებლო პასპორტი, ქ. თბილისისმერიის ქალაქგეგმარებისა დასივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის 24.11.2004წ. №20/555 ბრძანება, ქ. თბილისისმერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.12.2010წ. №01/2965 ბრძანებაკორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნაწილში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.02.2015წ. №1753011 ბრძანება.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილიწესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდანერთი თვის ვადაში.